პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 59 (3543)

1968 წ. 26 მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



სურათზე: ნუგზარ ასათიანი.

## ყოჩაღ, ნუგზარ!

ფარიკაობაში სსრ კავშირის 5 თასია დაწესებული, ოთხი პირად, ერთი — საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის. წლეულს ამ თასებისთვის ბრძოლა სარატოვში ტარდება და ორს უკვე გამოუჩნდა მფლობელი. პირველი თასი ესპადრონით მოფარიკავეებმა გაითამაშეს. დილით ტურნირში 45 სპორტსმენი ჩაება, საღამოს კი ფინალს შერჩა მხოლოდ 6 „იღბლიანი“, რომელთაგან თითქმის ყველა ჩემპიონი იყო და სხვადასხვა დროს ქვეყნის იმ ნაკრების ღირსებასაც იცავდა, სამჯერ რომ მოიგო მსოფლიო ჩემპიონობა.

ექვსთა ტურნირის ძირითადმა შეხვედრებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ვინაიდან ვ. ნაზლიმოვს, უ. მავლიხანოვსა და ნ. ასათიანს 4-4 მოგება ჰქონდათ. საჭირო გახდა სამთა დამატებითი ტურნირი, ანუ „ფინალის ფინალი“. აქ ყველას აჯობა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომანტმა ნ. ასათიანმა და თასიც დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა მავლიხანოვმა, III — ნაზლიმოვმა. მსოფლიო ჩემპიონი მ. რაკიტა საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ე. ვინოკუროვი და ბ. მელნიკოვი.

მეორე დღეს სარბიელზე 44 რაპირისტი ქალი გამოვიდა. ფინალში ყველას აჯობა გ. გოროხოვამ.

**საზღვარგარეთ**

## კოზიცკიმ, ნათელაშვილმა, საუნინმა...

**ბერლინი**, 25 მარტი. გუშინ აქ დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის თითქმის ყველა უძლიერესი ათლეტი მონაწილეობდა. მწვავე და საინტერესო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა — მათ წილად ხვდათ 3 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილი.

საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა პრიზები საბჭოთა ძიუდოისტთაგან დაიმსახურეს კ. კოზიცკიმ, ა. ნათელაშვილმა და ვ. საუნინმა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბერლინის ტურნირი უველაზე დიდი ასპარეზობა იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც მაისში შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართება.

● **კილი**, 25 მარტი. ტოკიის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა უ. ბაიერმა ახალი სეზონი ურო ტყორცნაში გფრ-ის ახალი რეკორდით დაიწყო — 69,88 მ.

● **პოტსდამი**, 25 მარტი. ამ ქალაქის მიდამოებში გამართული საერთაშორისო კროსი მოიგო ევროპის ჩემპიონმა იურგენ ჰააზემ (გდრ) — 10-კილომეტრიანი მანძილი მან 30 წუთსა და 28 წამში გაირბინა. II და III ადგილები დაიკავეს საბჭოთა მძლეოსნებმა: ვ. სვეშნიკოვმა (31.11,6) და ს. ბაიდიუკმა (31.32,4).

● **მოსკოვი**, 25 მარტი. ადგილობრივი უნივერსიტეტის მძლეოსანთა პირველობის მონაწილემ, ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა, 20 წლის ედუარდ გუშჩინმა 50 მეტრი 5,7 წამში გაირბინა. ეს შედეგი მხოლოდ 0,1 წამით უარესია დარბაზებისთვის მისივე საკავშირო მიღწევაზე.

● **ჟენევა**, 24 მარტი. აქ დამთავრდა საერთაშორისო საავტომობილო სალონის პერიოდიული თასის გათამაშება ჰოკეიში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და შვეიცარიის ნაკრები. დიდი ანგარიშით (6:1) გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. ტურნირის საუკეთესო ჰოკეისტისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა მოსკოვის „სპარტაკის“ წევრმა ე. ზიმინმა.

● **სვერდლოვსკი**, 24 მარტი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების 140 მოციგურავე ჩაება საკავშირო პირველობაში, რომელიც ადგილობრივ სტადიონზე დაიწყო. 500 მეტრზე რბენაში შესანიშნავი შედეგი ჰქონდა სსრ კავშირის რეკორდსმენს ამ დისტანციაზე, ჩელიაბინსკელ ტ. სიდოროვას, რომელმაც 44,9 აჩვენა. ეს სტადიონის ახალი რეკორდია და 0,8 წამით სჯობს ი. ეგოროვას მიერ ამას წინათ რსფსრ-სა და შვეციის მოციგურავეთა მატჩში ნაჩვენებ შედეგს.

● **ოტეპია** (ესტონეთი), 24 მარტი. სათხილამურო სპორტში საკავშირო ჩემპიონატის ბოლო სახეობა — 50 კილომეტრზე რბოლა გუშინწინ მოიგო მოსკოველმა ვ. ვედენინმა — 3:17.56. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა — 969 ქულა. II ადგილზე არიან მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები (545 ქულა), ხოლო III — ესტონეთის მოთხილამურენი (534).

**საზღვარგარეთ**

**დღეს ნომერში:**

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

**ვლადივოსტოკი**. შეჯიბრებაში, რომელიც სეზონის დახურვის პრიზზე გაიმართა საზღვაო სპორტში, მონაწილეობდნენ ძველი მეტოქეები — „ვოდნიკისა“ და წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის იახტკლუბის გუნდები. რბოლა მოეწყო ამურის უბის ყინულზე სადგურ სანატორნაიას რაიონში. შეჯიბრების დროს ძლიერი ქარი ქროდა. გუნდური და პირადი პირველობა დაისაკუთრეს „ვოდნიკის“ წარმომადგენლებმა.



სურათზე: სტარტის ალება.

ფოტო ნ. ნაზაროვისა (საქდესი).

(დასასრული მე-2 გვ.).

...მინდორზე და ტრიბუნებზეც ერთობ საზეიმო განწყობილება სუფევდა, მაგრამ გავიდა მატჩის 90 წუთი და მაყურებლები უკმაყოფილონი ტოვებდნენ სტადიონს.

თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუშინწინდელი მატჩის ანგარიში იხილეთ მე-3 გვ.

## 28 მარტს, ტაშკენტში!

## 1971 წლამდე

**რომი**. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გააგრძელა კანონი, რომელიც კრძალავს უცხოელ ფეხბურთელთა იმპორტს. ვეტო ძალაშია 1971 წლამდე.

## 134-ე

**ლონდონი**. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას შეემატა კიდევ ერთი ახალი წევრი — ბარბადოსი. ახლა ფიფა-ს შემადგენლობაში 134 წევრია.



თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩის წინ მოხდა თბილისელ ფეხბურთელთა დაჯილდოება ბრინჯაოს მედლებით 1967 წლის საკავშირო ჩემპიონატში დაკავებული III ადგილისთვის.

ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს: ს. კოტრიკაძემ, რ. ურუშაძემ, ზ. სიჭინავამ, გ. ჭელიძემ, ვ. რეხვიაშვილმა, მ. ხურცილავამ, გ. ცხოვრებოვმა, ს. კუტივაძემ, გ. პეტრიაშვილმა, ხ. მეტრეველმა, კ. ასათიანმა, მ. მესხმა, ი. დათუნაშვილმა და გ. ნოდიამ.

გუნდის მწვრთნელები ვ. სოლოვიოვი, გ. ჩოხელი და ვ. ბარქაია დაჯილდოვდნენ საკავშირო სპორტკავშირის დიპლომებითა და ვიმპელებით. დაჯილდოებულია, აგრეთვე, გუნდის მომსახურე პერსონალი.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი პრიზებით. მარცხნიდან — ს. კუტივაძე, ვ. რეხვიაშვილი, გ. ჭელიძე, ს. მეტრეველი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ფეხბურთის პაემანზე ეჩქარება

სსრ კავშირის XXX საფეხბურთო ჩემპიონატი ვადამდე, 28 მარტს იღებს სტარტს. ამ ხუთშაბათ დღეს ტაშკენტში ადგილობრივი „პახტაკორი“ უმასპინძლებს მოსკოვის „ტორპედოს“, რომელიც უელსის „კარდიფ-სიტისთან“ დამატებითი მეოთხედფინალური მატჩისთვის ემზადება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე.

აპრილის პირველ დღეს გაიმართება კიდევ 3 თამაში, აქედან ორი — „დინამო“ (მოსკოვი)— „ზარია“ (ლუგანსკი) და „დინამო“ (კიროვაბადი) — „ნეფტჩი“ (ბაქო) ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ფრუნზედან და კიროვაბადიდან გადატანილია ლუგანსკსა და ბაქოში (მეორე წრეში მოსკოველი და კიროვაბადელი დინამოელები მეტოქეებს თავიანთ მინდვრებზე მიიღებენ).

ამრიგად, 4 სასტარტო მატჩიდან მხოლოდ ერთის (ქუთაისის „ტორპედო“ — კიევის „დინამო“) ადგილი და ვადა დარჩა უცვლელი: 1 აპრილი, ქუთაისი.

და კიდევ ერთი გასწორება: ქუთაისისა და მოსკოვის ტორპედოელთა 6 აპრილს დანიშნული ორთაბრძოლა გაიმართება 14 აპრილს.

**უკანასკნელ საათს...**

◆ **სასოლზბურგი** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 25 მარტი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში პოლ ნეშმა ბრწყინვალედ გაირბინა 100 და 200 მ — 10,2 და 20,2 წამში.

◆ **სიდნეი**, 25 მარტი. ავსტრალიის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა იოლად გაიმარჯვა 5000 მეტრზე რბენაში — 13.49,4. ამერიკელი ათლეტი ჯ. სილვესტრი უძლიერესი იყო ბადროს ტყორცნასა (60,09 მ) და ბირთვის კვრაში (19,13 მ).

# ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე



ნოვოსიბირსკი. აქ ჩატარდა ბიატლონისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ერთდროულად გათამაშდა რსფსრ-ს პირველობაც სპორტის ამ სახეობაში.

საერთო გუნდური I ადგილი მოსკოველებმა მოიპოვეს, II ადგილზე არიან ნოვოსიბირსკის, III — ლენინგრადის სპორტსმენები.

ნოვოსიბირსკელებმა დიდი წარმატება მოიპოვეს 20 კილომეტრზე სროლით რბოლაში. სამივე მედალი მათ დაისაკუთრეს. ოქროს ჯილდო მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა, ადგილობრივი რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მამატოვმა; ვერცხლის მედალი დაისაკუთრა სპორტის საპატიო ოსტატმა ბ. ივანოვმა, ბრინჯაოსი — მამატოვის მოწაფემ, სტუდენტმა სპორტის ოსტატმა ი. კოლმაკოვმა.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×7,5 კილომეტრზე ყველას აჯობეს ნოვოსიბირსკელებმა.

სურათზე: ნოვოსიბირსკის გუნდი, სსრ კავშირისა და რსფსრ-ს ჩემპიონი ბიატლონისტთა ესტაფეტაში 4×7,5 კილომეტრზე. მარცხნიდან — ვ. მამატოვი, ი. კოლმაკოვი, ბ. ივანოვი და სპორტის ოსტატი ლ. ისაკოვი.

ფოტო ვ. ლეშჩინსკისა (საქდესი).



მინსკი. აქ გაიმართა 11 ქვეყნის მოცურავეთა ასპარეზობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის ქალთა ახალი რეკორდი (2.31,6) დაამყარა სპორტის ოსტატმა ლარისა ზახაროვამ („ზენიტი“), რომელსაც ამ სურათზე ხედავთ.

ფოტო მ. მინკოვიჩისა (საქდესი).

# ფინიშის წინ

ბელგრადი, 25 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის X ტურში ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვას (იუგოსლავია), ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) — ლ. იოვიჩ-ჟივკოვიჩს (იუგოსლავია), მ. ლილიაკმა — მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩს (ორივე — იუგოსლავია), ა. კუშნირმა — ე. ბილეკს (უნგრეთი), კ. იოვანოვიჩმა (იუგოსლავია) — ქ. გოლუი-რაძიკოვსკას (პოლონეთი). ყაიმით დამთავრდა ფ. ჰეემსკერკ (ჰოლანდია) — ვ. ასენოვას (ბულგარეთი) შეხვედრა. დაუმთავრებელი დარჩა ტ. შტადლერ — რ. იოვანოვიჩის (ორივე — იუგოსლავია) პარტია.

XI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ძველი მეტოქეების — ლაზარევიჩ-მარკოვიჩისა და გაფრინდაშვილის შეხვედრა. ბრძოლა უფიმცევის დაცვით დაიწყო. იუგოსლაველმა თეთრუჯრედოვანი კუთა გაცვლის შემდეგ მოკლე როქი გააკეთა. მსოფლიო ჩემპიონმა თავისი მეფე ლაზიერის ფრთას შეაფარა, გამაგრდა ცენტრში და მძლავრად შეუტია მეტოქის გვირგვინოსანს. მხედრის დროებითი შეწირვით მან საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და ენდშპილში გაიმარჯვა კიდეც.

იუგოსლავიის ჩემპიონმა ლილიაკმა დაამარცხა რ. იოვანოვიჩი, ბილეკმა — შტადლერი. ყაიმით დამთავრდა კონარკოვსკა-სოკოლოვა—ნიკოლაუს, იოვიჩ-ჟივკოვიჩ — კ. იოვანოვიჩისა და გოლუი-რაძიკოვსკა — ჰეემსკერკის პარტიები. ასენოვას ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა კუშნირთან არ შედგა.

XII ტურში თეთრებით მხოლოდ ჰეემსკერკმა წააგო (კუშნირთან), დანარჩენებმა კი გაიმარჯვეს: გაფრინდაშვილმა — რ. იოვანოვიჩთან, ნიკოლაუმ — ლაზარევიჩ-მარკოვიჩთან, ლილიაკმა — ბილეკთან, შტადლერმა — ასენოვასთან, კ. იოვანოვიჩმა — კონარკოვსკა-სოკოლოვასთან და გოლუი-რაძიკოვსკამ — იოვიჩ-ჟივკოვიჩთან.

დასკვნითი, XIII ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ნ. გაფრინდაშვილი — 10, ა. ნიკოლაუ — 9, მ. ლილიაკი — 8,5, ა. კუშნირი — 8 (1), კ. იოვანოვიჩი — 7,5, მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი — 6,5, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა — 5,5, რ. იოვანოვიჩი, ტ. შტადლერი, ვ. ასენოვა — 5-5 (1-1), ლ. იოვიჩ-ჟივკოვიჩი — 5, ე. ბილეკი — 3,5, ქ. გოლუი-რაძიკოვსკა — 2,5, ფ. ჰეემსკერკი — 1.

ჭადრაკი

# ტურისტთა გეგმები

მოეწყო სოხუმის დრამატული თეატრისა და პიონერთა სახლის ტურისტთა შეხვედრა, რომელიც ნორჩ ტურისტთა სექციის ხელმძღვანელმა პ. ჯგერენაიამ გახსნა. შეხვედრაზე წამოაყენეს წინადადება, მოეწყოს ვეტერანთა და ნორჩ ტურისტთა ერთობლივი ლაშქრობა ანჩხოს ყინვარზე. შემდეგ ნორჩებს მიესალმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქ. დოლიძე.

შეკრების მონაწილეებმა დაათვალიერეს თეატრის ტურისტული სექციის სტენდები, ბიბლიოთეკა.

მსახიობებმა მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს ტურისტული ლიტერატურა. სტუმრებმა და მასპინძლებმა გადაწყვიტეს ერთად დალაშქრონ აფხაზეთის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი და მას ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი უწოდონ.

ნ. მიქაშავიძე,
ტურიზმის ინსტრუქტორი.

სოხუმი.

# [illegible]

## ვანი

მოსწავლე-მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში 12 საშუალო და 3 რვაწლიანი სკოლის კოლექტივებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველას აჯობეს შუაგორის წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავა კიროვის სახელობის, ხოლო III — ისრითის საშუალო სკოლის გუნდმა.

ა. მამასახლისი,
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

## ახმეტა

ხისდამმუშავებელ კომბინატში ორ კვირას გრძელდებოდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. 13 ქულით პირველობა მოიპოვა ფ. გოდერძიშვილმა.

გ. ტერტერაშვილი.

## თერჯოლა

სოფ. ნახშირღელის საშუალო სკოლის 250 მოსწავლემ ითამაშა მოშაშეთა გუნდურ პირველობაში. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა IX კლასის ნაკრებმა. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში, რომელშიც 20 ჭაბუკი იბრძოდა, უძლიერესი იყო ა. ზაქარიაძე.

ლ. ჯიშიაშვილი.

## ლაგოდეხი

მოჭადრაკეთა ჩემპიონატში 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ვ. ევსტიგნეევმა, II — წყალთა მეურნეობის მთავარმა ინჟინერმა მ. წიქარიშვილმა, III — ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ვ. ჯაფარიძემ.

გ. შარმიაშვილი,
ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ჭადრაკში.

# 15 დაფაზე

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენ ქარხანაში გამართული სპორტული საღამო 15 დაფაზე ოსტატ ბ. გურგენიძის ერთდროული თამაშის სეანსით დაგვირგვინდა. ბრძოლამ ოთხ საათს გასტანა. ოსტატმა 12 პარტია მოიგო, ორი (საწარმოს ქალთა ჩემპიონთან, მთავარი ტექნოლოგის განყოფილების ინჟინერთან მ. ქელბაქიანთან და მე-5 საამქროს უფროს თ. ჯაბაურთან) ყაიმით დაამთავრა და ერთი (საპარატო საამქროს ოსტატ კ. კუჭუხიძესთან) წააგო.

გ. გოგიაშვილი.

# მსოფლიოს რეკორდები

მდგომარეობა 1968 წლის 25 მარტისთვის

სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
| --- | --- | --- | --- |
| **ვაჟები** | | | |
| **ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლა** | | | |
| 3×40 გასროლა | 1156 | გ. ანდერსონი (აშშ) | 1966 |
| | 4602 | აშშ | 1966 |
| წოლელა 40 გასროლა | 398 | კ. იუჰანსონი (შვეცია) | 1966 |
| | 398 | მ. ლანდრიო (ნორვეგია) | 1966 |
| | 1583 | სსრ კავშირი | 1966 |
| ჩოქელა 40 გასროლა | 391 | დ. ფოსტერი (აშშ) | 1966 |
| | 1551 | სსრ კავშირი | 1966 |
| დგომელა 40 გასროლა | 376 | ჰოლენშტაინი (შვეიცარ.) | 1963 |
| | 1478 | აშშ | 1966 |
| **სტანდარტული შაშხანით სროლა** | | | |
| 3×20 გასროლა | 574 | ა. გერასიმიონოკი (სსრკ) | 1965 |
| | 2277 | სსრ კავშირი | 1965 |
| **მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლა** | | | |
| 3×40 გასროლა | 1164 | ლ. იუგერი (აშშ) | 1964 |
| | 4589 | აშშ | 1966 |
| წოლელა 40 გასროლა | 399 | ა. შვარცი (ჩეხოსლოვაკია) | 1966 |
| | 399 | გ. მარში (კანადა) | 1966 |
| | 1587 | აშშ | 1966 |
| ჩოქელა 40 გასროლა | 391 | მ. ნიიაზოვი (სსრ კავშირი) | 1958 |
| | 1547 | სსრ კავშირი | 1965 |
| დგომელა 40 გასროლა | 376 | გ. ანდერსონი (აშშ) | 1962 |
| | 1467 | გდრ | 1966 |
| წოლელა 60 გასროლა | 598 | დ. ბოიდი (აშშ) | 1966 |
| | 2379 | აშშ | 1967 |
| **არმიული შაშხანით 300 მეტრზე სროლა** | | | |
| 3×20 გასროლა | 558 | ლ. ლუსტბერგი (სსრკ) | 1966 |
| | 2185 | სსრ კავშირი | 1966 |
| **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა** | | | |
| 50 მეტრიდან 60 გასროლა | 566 | ა. იასინსკი (სსრ კავშირი) | 1955 |
| | 2224 | სსრ კავშირი | 1965 |
| 25 მეტრიდან 60 გასროლა | 596 | ვ. ათანასიუ (რუმინეთი) | 1966 |
| | 2361 | სსრ კავშირი | 1958 |
| **რევოლვერ-პისტოლეტით 25 მეტრზე სროლა** | | | |
| 30+30 გასროლა | 597 | თ. სმითი (აშშ) | 1963 |
| | 2349 | სსრ კავშირი | 1962 |
| **„გაქცეულ ირემზე“ სროლა** | | | |
| 50 ერთმაგი გასროლა | 234 | ი. ნიკიტინი (სსრ კავშირი) | 1958 |
| | 900 | სსრ კავშირი | 1958 |
| 25 ორმაგი გასროლა | 233 | ო. ზაკურენოვი (სსრკ) | 1963 |
| | 908 | სსრ კავშირი | 1965 |
| **„გაქცეულ ტახზე“ 50 მეტრიდან სროლა** | | | |
| 40 გასროლა | 171 | გ. ნორდფორსი (შვეცია) | 1967 |
| | 638 | სსრ კავშირი | 1967 |
| **ქალები** | | | |
| **სპორტული შაშხანით 50 მეტრზე სროლა** | | | |
| 3×20 გასროლა | 558 | მ. ტომპსონი (აშშ) | 1966 |
| წოლელა 60 გასროლა | 591 | ე. ზაკშევსკა (პოლონეთი) | 1968 |
| | 1747 | პოლონეთი | 1966 |

შენიშვნა: ტყვიის მსროლელებმა შარშან მსოფლიოს რეკორდებზე უკეთესი რამდენიმე შედეგი აჩვენეს, მაგრამ ისინი სროლის საერთაშორისო ფედერაციამ რეკორდებად არ დაამტკიცა, ვინაიდან მსოფლიოს რეკორდებად მტკიცდება მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატში, ოლიმპიურ თამაშებსა და დიდ საერთაშორისო ტურნირებში ნაჩვენები შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუთაისი. ამასწინანდელი საკონტროლო მატჩის მომენტი ადგილობრივ „ტორპედოსა" და თბილისის „ლოკომოტივს" შორის.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა მეკარე მ. გრძელიშვილი იღებს ძნელ ბურთს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# სოხუმელები კვლავ იმარჯვებენ

**სოხუმი,** 25 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ადგილობრივი დინამოელები წლეულს ნაყოფიერად ემზადებიან სეზონისთვის. მათ კარგად ჩაატარეს რამდენიმე შეხვედრა, ხოლო გუშინ ცსკა-ს ძირითად შემადგენლობასთან პირდაპირ საუცხოოდ ითამაშეს.

ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. მოსკოველებმა თავდაპირველად შეძლეს საერთო ინიციატივის მოპოვება და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მასპინძელთა კართან, მაგრამ დინამოელები კარგად იცავდნენ თავს, ტაიმის დასასრულს კი უპირატესობამ მათ მხარეს გადაინაცვლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმელთა ძლიერი თამაში მეორე ტაიმში. მიმდინარეობდა 50-ე წუთი, როცა წოწორიას მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს. აქ სხვებზე ადრე აღმოჩნდა უზუნიანი, რომელმაც ზუსტი დარტყმით აიღო ცსკა-ს კარი. ეს ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა: მოსკოველები ამაოდ ეცადნენ თუნდაც საპასუხო ბურთის გატანას.

**შ. ჯალაღონია.**

# დაჯილდოება და... მარცხი

გუშინწინ თბილისის „დინამოს" თავის მინდორზე საკონტროლო მატჩი ჰქონდა ლენინგრადის „ზენიტთან". ამ შეხვედრის წინ მოხდა გუნდის წევრთა დაჯილდოება შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული III ადგილისთვის. რესპუბლიკის მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთში, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ცომაიამ პრიზები გადასცა ფეხბურთელებს. მინდორზე და ტრიბუნებზეც ერთობ საზეიმო განწყობილება სუფევდა, მაგრამ გავიდა მატჩის 90 წუთი და მაყურებლები უკმაყოფილონი ტოვებდნენ სტადიონს: ჩვენმა გუნდმა სუსტად ითამაშა და დამარცხება განიცადა ანგარიშით 0:1. ზენიტელთა თავდამსხმელმა გონჩაროვმა ბოლო წუთზე გაიტანა გოლი და თბილისელებმა თავიანთ წინასასეზონო პასივს კიდევ ერთი წაგება მიუმატეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი დრო აღარ დარჩა, ამიტომ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ, კოლექტივის თითოეულმა წევრმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა გათამაშებას სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ.

თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ურუშაძე, ცხოვრებოვი, ჰელიძე, რეხვიაშვილი (ლ. ნოდია), ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მეტრეველი, გავაშელი, ილიადი, ქიქავა; „ზენიტში" იყვნენ: შაპოვალენკო, ბულავინი, რუდი, ნაუმოვი, სადირინი, ფოკინი, ვიუნი, პოლოსოვი, ბურჩალკინი, გონჩაროვი, სტრეპეტოვი (პოლიაკოვი).

# ფრე ფინელებთან

**ბათუმი,** 25 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). საქართველოში სტუმრად იმყოფება ფინეთის ქალაქ ლაჰტის საკლუბო გუნდი „უპონ პალო". გუშინ ფინელ ფეხბურთელებს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „დინამოსთან".

თამაში სტუმართა სწრაფი შეტევით დაიწყო და მე-3 წუთზე მიკენენმა თავით გაიტანა კიდეც ბურთი — 1:0.

ამ გოლს მოჰყვა ბათუმელთა ხანგრძლივი, ძლიერი კონტრშეტევა. ისინი თითქმის არ ცილდებოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს და მე-17 წუთზე ილურიძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

ასევე მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. „უპონ პალოს" კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ „დინამოს" თავდამსხმელები უხეიროდ ამთავრებდნენ იერიშებს. ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს ქორიძემ, მაისურაძემ და ოვანესიანმა.

ბათუმელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ანდღულაძე, გიორგიადი (კიპაროიძე), სირბილაძე (რ. გაგუა), დიმანოვი, მ. გაგუა, აბრესიანი, ქორიძე (ნაზაროვი), ილურიძე, ვერულიძე (ოვანესიანი), მაისურაძე, ხაბიბულინი.

**ო. მურვანიძე.**



# ფრენბურთელი ქალები მეხიკოსთვის ემზადებიან

ქალთა მსოფლიო ფრენბურთში ოლიმპიური მედლების მაძიებელთა ძირითადი შემადგენლობა ასეთია: იაპონიის, სსრ კავშირის, პერუს, სამხრეთ კორეის, აშშ-ს, მექსიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები.

რისი იმედი აქვს თვითეულ ამ გუნდს?

სამხრეთ კორეის ნაკრებმა, თუ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის და იაპონიის „იასიკასთან" შეხვედრის შედეგებით ვიმსჯელებთ, ძნელად, რომ სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს გუნდების უმეტესობას. ჩემი აზრით, სიურპრიზებს უმთავრესად უნდა ველოდეთ პერუს გუნდისგან, რომელიც ევროპელი ფრენბურთელებისთვის ძალიან უჩვეულო მანერით თამაშობს. იაპონური ყაიდით მოთამაშე პერუელებს ჰყავთ ორი კარგი, ნამდვილად მსოფლიო კლასის თავდამსხმელი. გუნდს ამზადებდა იაპონელი სპეციალისტი, რომელმაც საკმაოდ მკაცრ სათამაშო დისციპლინას მიაღწია. დაცვაში მოქნილი და თავდასხმაში ჭკვიანურად მოქმედი ეს გუნდი, ლირსეული მეტოქე იქნება ყოველი მოწინააღმდეგისთვის. შარშანდელ პანამერიკულ თამაშებში მან II ადგილი დაიკავა აშშ-ს ფრენბურთელების შემდეგ, რაც გუნდის დიდი მიღწევაა.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. სავინი გვარწმუნებს, რომ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ აშშ-ს ნაკრებმაც. გუნდი კარგად თამაშობს დაცვაში, ამასთან, მისი თავდასხმა საკმაოდ მრავალფეროვანი და მძლავრია. წინა ტურნირებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სათამაშო მოქმედების ორგანიზაცია, განსაკუთრებით, დაცვაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ოლიმპიადაში ამერიკელები საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ.

სერიოზული გეგმები აქვთ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდებს. ამ კოლექტივების მწვრთნელებთან საუბრით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ამჯერად ყველაზე გულდასმით მოეკიდებიან ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების გეგმას, გაუთვალისწინებიათ სასწავლო მეცადინეობაც, სამატჩო შეხვედრებიც, საერთაშორისო ტურნირებიც.

პოლონელმა და ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა ოლიმპიადის საგზურები დამატებითი ტურნირის შემდეგ მოიპოვეს. ახლა ისინი სერიოზულ ყურადღებას აქცევენ დამოუკიდებელ ინდივიდუალურ მზადებას, რათა საერთო ფიზიკური მდგომარეობა გაიუმჯობესონ და ტექნიკური ოსტატობა აიმაღლონ. ორივე გუნდის მწვრთნელებს მდიდარი არჩევანი აქვთ მოთამაშეთა კარგი ანსამბლის შესაქმნელად. მე ორივე ეს გუნდი ვნახე თურქეთში, ევროპის პირველობის გათამაშებაში, და დავრწმუნდი მათ პოტენციურ შესაძლებლობებში.

იაპონიის ნაკრები კვლავაც უდავოდ მთავარი ფავორიტია. ჯერჯერობით იაპონელი ფრენბურთელები შინაურ საქმეებს აგვარებენ: ამ ქვეყანაში მეხიკოს საგზურს დაახლოებით სამი თანაბარძალოვანი გუნდი ეცილება ერთმანეთს. შარშან დეკემბერში, მაგალითად, იაპონიის ტურნირი მოულოდნელად მოიგო გუნდმა „ხიტაშიმ". მანამდე ეს კოლექტივი მხოლოდ აჩრდილი იყო საქვეყნოდ ცნობილი გუნდებისა — „ნიჩიბოსი" და „იასიკასი". ახლახან მე ვნახე „ხიტაში" ჩეხოსლოვაკიაში, მისი ევროპული ტურნირის დროს. გარწმუნებთ, რომ დღეს ესაა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი, რომელსაც ყოველ ნაკრებთან ბრძოლის ძალა შესწევს. თუმცა, იაპონიის სხვა გუნდებსაც შეუძლიათ ოლიმპიადაში წარმატებაზე იფიქრონ.

ფრენბურთის იაპონურმა ასოციაციამ ფართო კამპანია გაშალა ოლიმპიური ტურნირისთვის მოსამზადებლად. 1967 წელს „ნიჩიბო", „იასიკა", „ხიტაში" შეხვდნენ, კერძოდ, სსრ კავშირის ნაკრებს. „იასიკა" მონაწილეობდა პერუს საერთაშორისო ტურნირში, მის მოედანზე შეხვდა ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის, აგრეთვე, აზიის გუნდებს; „ნიჩიბო" იყო სამხრეთ ამერიკაში, „ხიტაში" ჯერ მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში გამოვიდა, უფრო გვიან კი, თებერვალში, ევროპაშიც სცადა ძალა — 14 შეხვედრა გამართა გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ფრენბურთელებთან. ყველა მატჩი იაპონელთა გამარჯვებით დამთავრდა. ჩემი აზრით, „ხიტაშიმ" ახლებური აზრი მისცა მოთამაშეთა ზოგიერთ ფუნქციას და მაქსიმალურად გაამდიდრა თამაში უსწრაფესი კომბინაციებით.

დასკვნა: იაპონიის ქალთა ფრენბურთს პირველი კლასის, ტაქტიკას კარგად მცოდნე და ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებული მოთამაშეების დიდი რეზერვი ჰყავს. ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელებს არ გაუჭირდებათ საიმედო სათამაშო ანსამბლის შექმნა — ამ ანსამბლისთვის სამივე გუნდი გამოდგება ბაზად. სხვათა შორის, შეიძლება მეხიკოში იაპონიამ ნაკრები გუნდიც გამოიყვანოს. იაპონელებმა ასეთი ცდა ჩაატარეს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იოლად მოიგეს კიდეც. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ჩემპიონატში ევროპისა და აზიის უძლიერესი გუნდები არ მონაწილეობდნენ. ასეა თუ ისე, იაპონელთა შანსებს ძალიან მაღალი შეფასება უნდა მივცეთ.

სსრ კავშირის ნაკრები?

მისი შემადგენლობა 1964 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. სხვადასხვა მიზეზით გუნდიდან წავიდნენ ა. რიჟოვა, თ. ტიხონინა, ვ. მიშაკი, ტ. როდიონოვა. წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ მხოლოდ ახლახან დაუბრუნდა სასტარტო ექვსეულს ი. რისკალი. დღეს გუნდში აღარ არიან ლ. გურეევა, ნ. აბრამოვა, მ. კატუშევა, ა. ბილტაუერე.

ჩვენ, მწვრთნელები, კმაყოფილი ვართ გუნდის შევსებით. ახალგაზრდა ფრენბურთელები ნ. სმოლეევა, რ. სალიხოვა, ტ. პონიაევა, ვ. ლანტრატოვა ღირსეული შემცვლელები არიან ვეტერანებისა. უწინდებური ბრწყინვალებით თამაშობს ლ. ბულდაკოვა. ნაკრებს დაუბრუნდნენ გ. ელნიცკაია და ლ. მიხაილოვსკაიაც. საბჭოთა ეროვნული გუნდის წევრებმა იციან, რომ მხოლოდ იაპონელი ჩემპიონების დამარცხებით დაიბრუნებენ მსოფლიოში უძლიერესთა სახელს. ისინი კარგად იცნობენ თავიანთ მეტოქეებს და დარწმუნდნენ, რომ მათთან მოგება შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელ ტურნირებში, რომლებიც პერუს ფრენბურთის ორგანიზაციებმა მოაწყვეს, საბჭოთა ფრენბურთელებმა საერთო ჯამში ფრედ ითამაშეს „იასიკასთან" — 2:2.

აპრილში სსრ კავშირის ნაკრები რამდენიმე შეხვედრას გამართავს იაპონიის ფრენბურთელებთან მათ მოედნებზე. უფრო გვიან, ივლისში, იაპონელები ჩამოვლენ სსრ კავშირში. ეს მატჩები უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანს გუნდებს, გამოცდილების გაზიარებაში დაეხმარება მწვრთნელებს და რამდენადმე გაშიფრავს მათ ტაქტიკურ ჩანაფიქრს. ოლიმპიურ თამაშებში ორივე გუნდი ღია კარტებით ჩაებმება, მხოლოდ საკუთარი ძალისა და საბრძოლო მზადყოფნის იმედით.

იაპონელი მაყურებელი აპრილში გაეცნობა სსრ კავშირის ნაკრების ახალბედებს: ტ. იაკოვლევას, ლ. ლოჩს, ტ. ვაინბერგს, ტ. სარიჩევას, ო. შემაკოვას. როგორც მე და ჩემი კოლეგა გივი ახვლედიანი ვფიქრობთ, ეს ტურნე კარგი სკოლა იქნება მათთვის. მაგრამ ისინი მხოლოდ მოწაფეები როდი არიან, მათ შეუძლიათ თავადაც ასწავლონ ზოგიერთი რამ.

იაპონელ ფრენბურთელებთან შეხვედრის გარდა, სსრ კავშირის გუნდის წინაოლიმპიური მზადების პროგრამა ითვალისწინებს ნაკრების მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში, სადაც მისი მეტოქეები ევროპის უძლიერესი გუნდები იქნებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილისთვის უმთავრესი „ამოუცნობი" მეტოქე მექსიკური სიმაღლეა. მეხიკოს მთიანეთის გაიშვიათებული ჰაერი ბევრ სპორტსმენს აფიქრებს. ამ თვალსაზრისით იაპონიის გუნდს უპირატესობაც აქვს: იგი წინაოლიმპიურ კვირეულში მონაწილეობდა და უკვე იცნობს მექსიკის ჰავის თავისებურებას. ევროპელმა ფრენბურთელებმა კვირეულში მონაწილეობა ვერ მიიღეს: იმ დროს მათ თავიანთი კონტინენტის პირველობა ჰქონდათ. მაგრამ ჩვენ გამოვიყენებთ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა გამოცდილებას, ჩვენი თანამემამულეების გამოცდილებას, რომლებიც უკვე გამოვიდნენ მეხიკოს სტადიონებზე. ვფიქრობ, ამ პრობლემას გადავჭრით.

მაშ ასე, ბრძოლაში ჩასაბმელად რვა გუნდი ემზადება. ფავორიტები არიან სსრ კავშირისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. ჩემპიონობის ბედი, როგორც ჩანს, მათ შეხვედრაში გადაწყდება. ამ შეხვედრისთვის ორივე გუნდი ემზადება.

**ო. ჩოხოვი,**

**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების მწვრთნელი.**

## სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

# დამატებით დროში

**ლენინგრადი,** 25 მარტი. ვინ იფიქრებდა, რომ აუტსაიდერი ამდენ უსიამოვნებას მიაყენებდა ლიდერს და ისიც მის მოედანზე? დიახ, სვერდლოვსკის „ურალმაში" გუშინ ასევე ახლოს იდგა გამარჯვებასთან, როგორც ლენინგრადის „სპარტაკი". ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა. მასპინძლებმა მხოლოდ დამატებით დროში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ — 90:80.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 31 | 22 | 9 | 2208—2121 | 22 |
| ასკ (კიევი) | 34 | 22 | 12 | 2404—2264 | 22 |
| ცსკა | 32 | 20 | 12 | 2099—1993 | 20 |
| „დინამო" (თბილისი) | 30 | 20 | 10 | 2196—2057 | 20 |
| „კალევი" (ტარტუ) | 34 | 19 | 15 | 2310—2222 | 19 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 32 | 18 | 14 | 2115—2082 | 18 |
| ვეფ (რიგა) | 32 | 17 | 15 | 2280—2253 | 17 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 32 | 16 | 16 | 2280—2243 | 16 |
| ასკ (რიგა) | 34 | 16 | 18 | 2484—2461 | 16 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 32 | 14 | 18 | 2063—2053 | 14 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 35 | 7 | 28 | 2382—2700 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 32 | 5 | 27 | 2321—2719 | 5 |

# კონტინენტის რისხვა

მკითხველი მკითხავს მკითხავს

## საერთაშორისო ფოსტიდან

მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აფრიკაში, სულ უფრო ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მისცა. აი, რას გვატყობინებენ აას-ის კორესპონდენტები, რომლებმაც ინტერვიუ ჩამოართვეს მთელი რიგი აფრიკული ქვეყნების ცნობილ სპორტულ მოღვაწეებსა და სპორტსმენებს.

### კაირო: „რასიზმს სპორტში ადგილი არა აქვს!“

ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ფახტი ნოსეირმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო თქვა:

— ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ რასიზმს სპორტში და ამიტომ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად გუნდს არ გავგზავნით. და ჩვენ მარტონი არა ვართ. აფრიკის ოცდაათზე მეტმა ქვეყანამ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო. ეს იმიტომ ხდება, რომ ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის მონაწილეობა მთელი ჩვენი კონტინენტის შეურაცხყოფაა.

ეგვიპტელი სპორტსმენები მიესალმებიან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მოთხოვნას, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს. სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს. რასიზმს სპორტში ადგილი არა აქვს!

### ადის-აბება: აფრიკა ბოიკოტს უცხადებს რასისტებს

ეთიოპიელი სპორტსმენები, რომლებიც აქტიურად ემზადებოდნენ მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის, აღაშფოთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ.

ეთიოპიის სპორტულმა კონფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებენ, თუ მეხიკოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებიც გამოვლენ.

— მე გამაოცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ, — ხაზგასმით აღნიშნა კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედნეკაჩევ ტესემამ. — ეს აპარტეიდის პოლიტიკის გამარჯვებაა. აფრიკისა და აზიის ბევრმა ქვეყანამ უკვე გადაწყვიტა, რომ ბოიკოტი გამოუცხადოს მეხიკოს თამაშებს.

ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელობის ამ შეხედულებას მხარს უჭერენ ეთიოპიელი ათლეტებიც.

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის დაშვების თაობაზე უსამართლოა, — ამბობს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მარათონელი აბებე ბიკილა. — მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი დისკრიმინაცია მეფობს. მე გულმოდგინედ ვემზადებოდი ამ თამაშებისთვის, ვოცნებობდი ოლიმპიადაში გამოსვლაზე, მაგრამ თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მეხიკოში არ წავალ.

აი, რა განაცხადა ეთიოპიის მრავალგზის ჩემპიონმა ველოსპორტში ბერემუ დენბაბამ:

— ოლიმპიური იდეალები ითვალისწინებს ყველა სპორტსმენის გაერთიანებას, მიუხედავად რასისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა. ეს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ერთ-ერთი გზაა. როგორღა შეიძლება თამაშებში მათი მონაწილეობა, ვინც ამ ოლიმპიურ იდეალებს არ სცნობს? საერთაშორისო კომიტეტის სამარცხვინო გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს.

მე, როგორც ყველა ეთიოპიელ სპორტსმენს, მადლიერების გრძნობა აღმიძრა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განცხადებამ იმ პოზიციის მხარდაჭერის თაობაზე, რომელსაც ყველა პატიოსანი აფრიკელი იცავს. წუთითაც არ მიფიქრია, რომ საბჭოთა სპორტსმენებს სხვაგვარად მოქცევა შეეძლოთ. მე სამჯერ შევხვდი მათ ოლიმპიურ თამაშებში და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა სპორტსმენები ნამდვილი ინტერნაციონალისტები არიან. ისინი მუდამ ძმურად ექცეოდნენ აფრიკელ სპორტსმენებს.

### ბამაკო: დისკრიმინაციის წინააღმდეგ

აას-ის კორესპონდენტი სწორედ მაშინ მივიდა მალის ოლიმპიურ კომიტეტში, როცა ამ კომიტეტის გენერალური მდივანი, დოქტორი ჰენრი კორენტინი ხელს აწერდა წერილს XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისადმი. ამ წერილით იგი კომიტეტს აცნობებდა მალის სპორტსმენების გადაწყვეტილებას, რომლებიც მეხიკოს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. უარის მიზეზია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება ოლიმპიადაში რასისტების მონაწილეობის თაობაზე.

კორენტინმა, რომელიც აფრიკის ათლეტიზმის კონფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საკოორდინაციო საბჭოს წევრიცაა, განაცხადა:

— თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმაშფოთებელი გადაწყვეტილება არ გადაისინჯა, მალი თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებს. ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დებულებას, რომელიც უარყოფს სპორტში დისკრიმინაციას რასობრივი, პოლიტიკური და რელიგიური ნიშნების გამო.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ აფრიკული სპორტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიციის გამო, რადგან ეს პოზიცია ანტიჰუმანურად მიგვაჩნია, — აღნიშნა აას-ის კორესპონდენტთან საუბარში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, ქვეყნის რეკორდსმენმა, ათჭიდელმა დრამანე სერმამ. — დიდად ვაფასებთ ამ საკითხში სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მხარდაჭერას. საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელთა განცხადება ადასტურებს, რომ ჩვენთანაა ყველა, ვინც მართლა იბრძვის რასიზმის წინააღმდეგ. შემიძლია გითხრათ, რომ სოლიდარობის ეს გამოვლინება გულთბილად მიიღო ჩვენი ქვეყნის ყველა სპორტსმენმა.

— საბჭოთა სპორტსმენებმა დაგმეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება, და მე ძალიან მიხარია ეს. როგორც ყველა ჩემი მეგობარი, მეც სავსებით ვეთანხმები ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის აზრს, — თქვა სოუნკალო ბაგაიაგომ, მალის ჩემპიონმა ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

### დარ-ეს-სალამი: სამარცხვინო გადაწყვეტილება

— ცნობამ იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სამხრეთ აფრიკის გუნდს მეხიკოს ზაფხულის თამაშებში მონაწილეობის უფლება მისცეს, ყველა ჩვენი სპორტსმენის აღშფოთება გამოიწვია, — უთხრა აას-ის კორესპონდენტს ტანზანიის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა იბრაჰიმ სალიმ. — ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ და გადავწყვიტეთ მეხიკოში არ გამოვიდეთ. ტანზანიის სპორტსმენები მოითხოვენ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეცვალოს თავისი სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც უხეშად არღვევს ოლიმპიური თამაშების ქარტიას.

### დაკარი: „აღშფოთებული ვართ!“

ცნობილმა სენეგალელმა მწვრთნელმა იბრაჰიმ სალმა და სენეგალის ჩემპიონმა სამხტომში მანსურა დიამ აას-ის კორესპონდენტს განუცხადეს:

— სენეგალელი სპორტსმენები აღაშფოთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის თაობაზე. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ცხოვრობენ აფრიკელები სამხრეთ აფრიკაში, სადაც ფერადკანიანი ადამიანის ღირსება გამუდმებით ითელება, სადაც აფრიკელებს არავითარი საშუალება არა აქვთ ისევე იმეცადინონ სპორტში, როგორც თეთრკანიანებმა. ამიტომ სენეგალელი სპორტსმენები იწონებენ აფრიკის უმაღლესი სპორტული საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც 32 აფრიკულმა ქვეყანამ უარი თქვა მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

დიდი კმაყოფილება მოგვგვარა საბჭოთა სპორტული წრეების, კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში სსრ კავშირის წარმომადგენლის, აგრეთვე, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პოზიციამ. ჩვენ მოველოდით ამას, რადგან ვიცით, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მხარს უჭერს აფრიკის ხალხს რასიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სპორტში რასიზმს ადგილი არა აქვს! საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, თუ მისთვის ძვირფასია საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ინტერესები, უნდა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება.

### ბრაზავილი: ძმური სოლიდარობა

აას-ის კორესპონდენტის შეკითხვას — რა აზრისა ხართ საერთაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებაზეო, ბრაზავილის I აფრიკული თამაშების პრიზიორმა, ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის კაპიტანმა პანზიმ ასეთი პასუხი გასცა:

— ჩვენ, აფრიკელი სპორტსმენები, ვერ შევურიგდებით რასიზმს სპორტში. საბჭოთა ამხანაგების პოზიცია ძმური სოლიდარობის გამოვლინებად მიგვაჩნია.

---

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ ბრაზილიის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების 10 წლისთავის აღსანიშნავად ჩაატაროს საერთაშორისო მატჩი: ბრაზილია — მსოფლიოს ნაკრები. ამ თამაშის გამართვა განზრახულია ა. წ. 15 ნოემბერს, რაზეც უკვე არის ფიფა-ს პრეზიდენტის ს. როუზის სანქცია.

ჟურნალისტებმა პელეს სთხოვეს ეთქვა, როგორ წარმოუდგენია მსოფლიოს ნაკრები.

— მე დიდი ხანია არ მინახავს საბჭოთა მეკარე იაშინი, — თქვა პელემ, — მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ იგია ღირსი დაიცვას მსოფლიოს ნაკრების კარი. ვფიქრობ, თავდასხმაში უპირატესობა უნდა მიეცეთ ინგლისელებს, ხოლო დაცვაში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს. ბრაზილიის ნაკრებზე ჯერჯერობით შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ მწვრთნელებმა უკვე შემომთავაზეს ამ მატჩში თამაში. რასაკვირველია, მე დავთანხმდი.

ს უ რ ა თ ზ ე: პელე და მისი მეუღლე როზმარი მიუნხენში.



## როგორც გრენობლში

ნოვოსიბირსკში ბიატლონისტთა საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა და შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელსაც ნორვეგიელებთან მატჩი უნდა გაემართა. სტუმრებიც მალე ჩამოვიდნენ და ციმბირის ამ ქალაქის მცხოვრებნი კვლავ საინტერესო ტურნირის მოწმენი გახდნენ. მატჩის მონაწილეებმა პირველ დღეს პირად პირველობაში სცადეს ძალა, მეორე დღეს — ესტაფეტაში 4×7,5 კილომეტრზე.

სტუმრების გუნდში გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი მ. სოლბერგიც იყო. მან აქაც დაადასტურა, რომ საფრანგეთში ოქროს მედალი შემთხვევით არ მიუღია. 20 კილომეტრზე რბენაში ნორვეგიელს მასპინძელთა წარმომადგენელმა ნ. პუზანოვმა აჯობა, მაგრამ სროლაში სოლბერგმა იმარჯვა (მხოლოდ 2 წუთით დაჯარიმდა) და პირველობაც მოიგო — 1:23.30. პუზანოვი 3 წუთით დაჯარიმდა და გამარჯვებულთან საბოლოოდ 27 წამი წააგო.

მეორე დღეს გაიმართა ესტაფეტა. მეტოქეები 2-2 გუნდით გამოვიდნენ. სსრ კავშირის გუნდი ამ სახეობაში ოლიმპიადის ჩემპიონია, ნორვეგიისა — მსოფლიო ჩემპიონი, ამიტომ დუელი მეტად მძაფრი გამოდგა. პირველ ეტაპზე ი. ნორდკილმა (ნორვეგია) 40 წამით აჯობა ლენინგრადელ რ. საფინს, მაგრამ II ეტაპზე ნ. პუზანოვმა გამოასწორა მდგომარეობა და ახლა სსრ კავშირის გუნდი წავიდა წინ. III ეტაპზე ი. ისტადმა ისევ ნორვეგიელები დააწინაურა, მაგრამ სოლბერგმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა სსრ კავშირის და მსოფლიოს ჩემპიონთან ვ. მამატოვთან ბრძოლაში. გაიმარჯვა სსრ კავშირის I ნაკრებმა. III ადგილზე გავიდა ნორვეგიის II გუნდი.

მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს.

---

## იმედიანი სტარტი

კანის (საფრანგეთი) ღია კორტებზე მიმდინარეობს ჩოგბურთელთა წლევანდელ სეზონში პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის 24 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. სსრ კავშირიდან გამოდიან ა. მეტრეველი, ვიაჩ. ეგოროვი, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი და თ. კაკულია.

ვაჟთა ასპარეზობაში 102 ჩოგბურთელი მონაწილეობს. ეგოროვმა უკვე 5 შეხვედრა მოიგო: ინგლისელ კინგამთან — 6:0, 6:1, ავსტრალიელ პეტმანთან — 6:3, 6:2, ავსტრიელ ჰერდისთან — 7:5, 6:3. მერვედფინალში მან მოუგო მეტიუზს, ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის ვაჟს — 6:3, 6:4, მეოთხედფინალში კი ფრანგ გოვენს — 7:9, 6:4, 6:2.

მეტრეველმა სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე მოიგო. მან დაამარცხა როძინსკი (გფრ) — 6:3, 6:0, ლიუმძენი (იამაიკა) — 6:4, 6:4 და დრონი (რუმინეთი) — 9:7, 7:5.

ჩვენები ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაშიც კარგად გამოდიან. ეგოროვმა და ლეიუსმა ორი გამარჯვება მოიპოვეს: მათ ჯერ დაამარცხეს უნგრელები ვარგა და ბარანიი — 6:2, 6:4, შემდეგ კი პოლონელები ნოვიცკი და ლევანდოვსკი — 6:1, 4:6, 6:3. მეტრეველმა და ლიხაჩოვმა აჯობეს იტალიელ მერლოს და კოლუმბიელ ველასკოს — 9:7, 6:1. ორივე საბჭოთა წყვილი ნახევარფინალში გავიდა.

შერეულ წყვილებში ლიხაჩოვი გამოდის ამერიკელ კიმთან ერთად, ხოლო მეტრეველი — ინგლისელ ლოიდთან.

## ჭადრაკის ამბები

**ბელგრადი.** ცნობილი იუგოსლაველი ოსტატის ს. ვუკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირში დიდოსტატი იანოშევიჩი და 11 ოსტატი მონაწილეობდა.

8,5 ქულით I ადგილი დაიკავა სმედერევაცმა. II-III ადგილები გაიყვეს იანოშევიჩმა და რაკიჩმა — 8-8. IV ადგილზეა კნეჟევიჩი — 7,5.

**ცვოლე** (ჰოლანდია). საერთაშორისო ტურნირში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ოსტატებმა კლაინმა (გფრ), ფლეშმა (უნგრეთი) და ოსტოიჩმა (იუგოსლავია). I ადგილი დაიკავა კლაინმა, II — ოსტოიჩმა, III — ფლეშმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ეკრანზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 26 მარტი-8 აპრილი. თბილისის ვაჟთა პირველობა. დასაწყისი 17 ს.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 26-29 მარტი. საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 მარტი. „ენძელას“ თასის ფინალი. „დინამო“ (მოსკოვი) — „ნეფტჩი“ (ბაქო). დასაწყისი 17 ს. მატჩის წინ შედგება მოსკოვისა და თბილისის „ლოკომოტივის“ ბავშვთა გუნდების შეხვედრა. დასაწყისი 15 ს. 30 წ.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. 27-28 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 07452